მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირი მიკუთვნებადი ხარჯები).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

ღებულობის და ვადის განსაზღვრის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
---------------------------	---------------------	-------------	-----------	------------	-------------------

მპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	100%
------------------------------	----	----	-----	-----	------

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადანაწილდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტი. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდელი მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრულებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ვერტიფრენების იჯარის, მგზავრობის ღირებულებისა და ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი.

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

- გარიგების ფასის განსაზღვრა;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;

მპს „ავიაკომპანია თუშეთი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანია მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს უცხოურ ბაზარზე ვერტიკალურ მომსახურებიდან და ავიაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისის მიწოდებიდან. უცხოურ ბაზრებზე ვერტიკალური მომსახურების მიწოდება განიხილება როგორც ვერტიკალური გაქირავებიდან მიღებული იჯარის შემოსავალი და აღირიცხება ბასს 17 ლიზინგის გამოყენებით.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

-ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);

-კანონმდებლობა; ან

-სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს. სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან: შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა.

იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

სამუშაო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობები	ვერტმფრენები	სათადარიგო ძრავები	კომპონენტები და შეკეთებული სათადარიგო ნაწილები	ავიჯი და საოფისე ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
2018 წლის 1-ლი იანვრისთვის	342,720	14,267,030	4,869,450	7,223,483	162,155	460,008	162,492	27,487,338
შემოსვლა	-	-	1,903,957	2,093,188	52,813	-	364	4,050,322
გასვლა	-	-	-	-	-	-	(5,000)	(5,000)
ჩამოწერა	-	-	-	-	(4,233)	-	(415)	(4,648)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	342,720	14,267,030	6,773,407	9,316,671	210,735	460,008	157,441	31,528,012
შემოსვლა	64,867	-	-	4,788,402	3,763	-	36,053	4,893,085
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	(1,947,060)	(1,003,165)	-	-	-	(2,950,225)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	407,587	14,267,030	4,826,347	13,101,908	214,498	460,008	193,494	33,470,872
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2018 წლის 1-ლი იანვრისთვის	(170,325)	(3,525,993)	(2,386,593)	(5,371,506)	(151,072)	-	(152,026)	(11,757,515)
წლის ცვეთა	(24,921)	(1,190,181)	(988,929)	(1,337,988)	(8,669)	-	(5,984)	(3,556,672)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	5,000	5,000
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	4,233	-	415	4,648
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(195,246)	(4,716,174)	(3,375,522)	(6,709,494)	(155,508)	-	(152,595)	(15,304,539)
წლის ცვეთა	(17,550)	(1,220,195)	(1,451,345)	(2,132,046)	(14,429)	-	(8,182)	(4,843,747)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	1,426,080	677,912	-	-	-	2,103,992
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(212,796)	(5,936,369)	(3,400,787)	(8,163,628)	(169,937)	-	(160,777)	(18,044,294)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2018 წლის 1-ლი იანვრისთვის	172,395	10,741,037	2,482,857	1,851,977	11,083	460,008	10,466	15,729,823
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	147,474	9,550,856	3,397,885	2,607,177	55,227	460,008	4,846	16,223,473
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	194,791	8,330,661	1,425,560	4,938,280	44,560	460,008	32,717	15,426,578

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სათადარიგო ნაწილები	540,455	401,859
საცხებ-საპოხი საშუალებები და საწვავი	110,291	39,114
სხვა	5,965	5,986
სულ მარაგები	656,711	446,959

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,420,902	1,180,453
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	812	758
სულ	2,421,714	1,181,211

სავაჭრო მოთხოვნების ძირითადი ნაწილი შედგება ავღანეთში, ძირითადი კონტრაქტორისთვის გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თვითმფრინავის ნაწილების მიწოდება და მონტაჟი	190,702	220,488
დაზღვევა	69,756	62,385
სხვა	70,398	63,382
სულ	330,856	346,255

8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

კომპანიის წინასწარ გადახდილი გადასახადები მოიცავს სამემოსავლო და დამატებული ღირებულებების გადასახადებს.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	2,984,747	1,677,787
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	13,114	1,623
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,997,861	1,679,410

10. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

2019 წლის განმავლობაში გამოცხადდა 1,115,570 ლარის დივიდენდები, აქედან მოხდა მხოლოდ 900,642 ლარის გადახდა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად მოიცავს თვითმფრინავის ძრავის ან სხვა სათადარიგო ნაწილების შესყიდვისგან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. შემოსავალი

შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი:		
საერთაშორისო კლიენტებისგან*	13,800,522	11,163,928
სულ შემოსავალი	13,800,522	11,163,928

* 2014 წელს კომპანიას ჰქონდა რამდენიმე მოკლევადიანი კონტრაქტი თურქეთში. 2015 წლიდან კომპანიის სამი ვერტმფრენიდან ორი მომსახურებას ეწეოდა ნიგერიაში შვიდი თვის განმავლობაში. 2015 წლის სექტემბრიდან ეს ორი ვერტმფრენი მსახურობს ავღანეთში, სადაც არ არის გაფორმებული გრძელვადიანი შეთანხმება, არამედ ყოველ ჯერზე ფორმდება ერთთვიანი ხელშეკრულებები.

13. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

გაწეული მომსახურები თვითღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ცვეთა	4,811,043	3,414,519
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,995,043	2,185,537
ავიარისკების დაზღვევა	803,280	1,003,224
მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება	386,741	1,010,729
თანამშრომელთა ტრენინგი	28,767	44,766
სანავიგაციო და სხვა საფრენოსნო მომსახურება	10,170	39,479
სხვა	10,082	112,355
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება:	8,045,127	7,810,609

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
მეორადი მარაგი ნაწილების შემოსავალში აყვანა	61,580	38,340
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	12,345	18,660
საპროცენტო შემოსავლები	17,002	9,251
სულ სხვა შემოსავალი	90,928	66,250

15. სხვა ხარჯი

კომპანიის სხვა ხარჯი წარმოადგენს ძირითადი საშუალებების ჩამოწერის წმინდა შედეგს (იხილეთ შენიშვნა 4).

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,510,202	684,589
მივლინების ხარჯი	593,911	412,665
ქონების გადასახადი	158,882	157,123
ტრანსპორტირების ხარჯები	105,973	331,066
ცვეთა	32,703	142,152
კომუნიკაციის ხარჯი	11,864	12,982
კომუნალური გადასახადები	6,230	30,881
ჯარიმები	-	32,033
სხვა ხარჯი	192,034	190,619
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,611,800	1,994,110

მპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

17. კურსთამორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

კურსთამორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
არარეალიზებული კურსთამორისი მოგება/(ზარალი)	(77,318)	(35,673)
რეალიზებული კურსთამორისი მოგება/(ზარალი)	10,021	50,424
კურსთამორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(67,297)	(14,751)

18. პირობითი ვალდებულებები და აქტივები პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - დროდადრო და ბიზნესის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში შეიძლება, კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ამ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულია არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

პირობითი აქტივები

კომპანია არის მიმდინარე სასამართლო დავის მომჩივანი მხარე. დავის წარმოშობის მიზეზი არის საერთაშორისო კლიენტის მიერ ხელშეკრულების მოულოდნელი შეწყვეტა. აღნიშნული კლიენტი არის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრაქტორი, რომელსაც კომპანია მომსახურებას უწევდა 2015 წელს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა კონტრაქტის პირობების საწინააღმდეგოდ. ქართულმა სასამართლომ უკვე დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ახლა განიხილავს ჰამბურგის სასამართლო. იმ შემთხვევაში, თუ ჰამბურგის სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, კლიენტს დაეკისრება ვალდებულება, კომპანიას გადაუხადოს 489,070 აშშ დოლარის (454,646 აშშ დოლარის ჯარიმა და 34,424 აშშ დოლარის სარჩელის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები) კომპენსაცია. იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჰამბურგის სასამართლოც და აკმაყოფილებს სარჩელს. მიუხედავად ამისა, პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან საბოლოო შედეგი არ არის გარკვეული და დამტკიცებული. პირობითი აქტივთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

**2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)**

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,373,279	1,181,211
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,997,861	1,679,410
სულ ფინანსური აქტივები	5,371,140	2,860,621

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	სულ 2018
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,997,861	-	2,997,861
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,421,714	-	2,421,714
სულ ფინანსური აქტივები	5,419,575	-	5,419,575
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,733,786	1,733,786
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	1,733,786	1,733,786
ლიკვიდურობის სხვაობა	5,419,575	(1,733,786)	3,685,789
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	5,419,575	3,685,789	

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	სულ 2018
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,679,410	-	1,679,410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,181,211	-	1,181,211
სულ ფინანსური აქტივები	2,860,621	-	2,860,621
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	450,732	599,558	1,050,290
სულ ფინანსური ვალდებულებები	450,732	599,558	1,050,290
ლიკვიდურობის სხვაობა	2,409,889	(599,558)	1,810,331
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	2,409,889	1,810,331	

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

- საბაზრო რისკი -საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).
- საპროცენტო განაკვეთის რისკი- საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.
- სავალუტო რისკი -სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	2019
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,114	2,984,747	2,997,861
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2,373,279	2,373,279
სულ ფინანსური აქტივები	13,114	5,358,026	5,371,140

ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,677	1,448,189	1,451,866
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,677	1,448,189	1,451,866
ღია საბალანსო პოზიცია	9,437	3,909,837	

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	2018
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,147	1,676,263	1,679,410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,171	1,175,040	1,181,211
სულ ფინანსური აქტივები	9,318	2,851,303	2,860,621

ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	109,694	940,596	1,050,290
სულ ფინანსური ვალდებულებები	109,694	940,596	1,050,290
ღია საბალანსო პოზიცია	(100,376)	1,910,707	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

დოლარის კურსის ცვლილების გავლენა	დოლარი/ლარი +20%	დოლარი/ლარი -20%
2019 მოგება/(ზარალი)	781,967	(781,967)
2018 მოგება/(ზარალი)	382,141	(382,141)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

20. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს

24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		812	758
შპს ალპინ ტრაველი	დამფუძნებელი	812	758
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	46,410
კონსტანტინე დავითიძე	უმადლესი ხელმძღვანელობა	-	46,410
სრული შემოსავლის ანგარიშგება	ურთიერთობა	2019	2018
პირდაპირი ხარჯები		(8,084)	(704,124)
შპს "ჰელიტი"	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	(8,084)	(466)
შპს "ჰელიტეი"	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	-	(703,658)
სხვა შემოსავალი		-	11,853
შპს "ჰელიტეი"	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	-	7,616
შპს "ავიაკომპანია ჯეო სქაი"	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	-	4,237
უმადლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება		2019	2018
შრომის ანაზღაურება		574,891	165,672

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 მაისი:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, საავიაციო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. კომპანია მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის.

აღნიშნული მოვლენის შედეგად, ხელმძღვანელობის შეფასებით, 2020 წელს მოსალოდნელია კომპანიის სერვისებზე მოთხოვნის შემცირება, რადგანაც დაწესებული შეზღუდვები აფერხებს კომპანიის ჩვეულ რეჟიმში საქმიანობას. ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორი არ შეუძლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა.....	3
2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	3
<i>ძირითადი შემოსავლები</i>	
<i>კაპიტალური და მიმდინარე რემონტები</i>	
<i>ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები</i>	
<i>კომპანიის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში</i>	
<i>ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა</i>	
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

1. ზოგადი მიმოხილვა

შპს ავიაკომპანია თუშეთი დაარსდა 1999 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საუბველზე. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით 208193925.

კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს სამ შვეულმფრენს და ახორციელებს საავიაციო სამუშაოებს როგორც საქართველოს ასევე სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	2019	2018
შპს ალპინ ტრაველი	20%	20%
შპს ე.ს გუდაური	20%	20%
შპს ავისაწვავსერვისი	20%	20%
ზაური ქორთოშიძე	10%	10%
შამილ ქორთოშიძე	10%	10%
დავით აბალოიძე	10%	10%
ვახტანგ მიქელაძე	5%	5%
ტარას ნიჟარაძე	5%	5%
	100%	100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ლიცენზირებადია და რეგულირებადია; მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

პარტნიორთა კრება

პარტნიორთა კრება, როგორც წესი ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

დირექტორთა საბჭო

კომპანიის პარტნიორების უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დანიშნულია ერთი დირექტორი, რომელიც ახორციელებს საწარმოს მიმდინარე ხელმძღვანელობას.

პერსონალი

საწარმოში 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ირიცხება 59 თანამშრომელი, ყოველთვიური სახელფასო ფონდის ოდენობა საშუალოდ შეადგენს 270 ათას ლარს.

2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ძირითადი შემოსავლები

ავიაკომპანია თუშეთს საკუთრებაში აქვს სამი შვეულმფრენი. შვეულმფრენებით და ეკიპაჟით გაწეული მომსახურება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობას და შემოსავლის ძირითად წყაროს .

კომპანიის შვეულმფრენის ტიპი და მოდელებია:

1. MI-8 MTV-1 (სახ. რეგ. #4L-TBS, საქარხ. #103M12)
2. MI-8 MTV-1 (სახ. რეგ. #4L-TLS საქარხ. 95588)
3. MI-8T (სახ. რეგ. #4L-TIS, საქარხ. #8231)

MI-8 MTV-1 (სახ. რეგ. #4L-TBS, საქარხ. #103M12) და MI-8 MTV-1 (სახ. რეგ. #4L-TLS საქარხ. 95588) ტიპის შვეულმფრენები, 2015 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე (ყოველთვიურად ფორმდება ძირითადი ხელშეკრულების გაგრძელების დანართი ერთი თვის ვადით) ბაზირებულია ავღანეთში ქ. მაზარ-ი-შარიფ ის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე. კონტრაქტორი არის არაბეთის გაერთიანებული საემიროების რეზიდენტი კომპანია „EXPEDITION AVIATION (FZE)“.

MI-8T (სახ. რეგ. #4L-TIS, საქარხ. #8231) ტიპის შვეულმფრენი ამ ეტაპისთვის ბაზირებულია საქართველოში, კერძოდ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე, ის საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. მოცემულ ეტაპზე არ იგეგმება მისი შეკეთება. მენეჯმენტი ვარიანტად განიხილავს მის გაყიდვასაც.

2019 წელს შვეულმფრენების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 13,800,522 (2018: 11,163,928 ლარი) ლარს.

ავიაკომპანიის დამატებითი შემოსავლები:

➤ კომპანიის ტერიტორიაზე მდებარეობს სს ბაზისბანკის „ბანკომატი“ და იჯარიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს დღე-ს ჩათვლით. 2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 1,525 ლარი (დღე-ს გარეშე).

➤ საოფისე ფართის, ავტომობილისა და სპეციალური ინსტრუმენტების იჯარიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს კომპანიის დამატებით შემოსავლებს. სულ 2018 წელს მიღებულმა დამატებითმა შემოსავალმა (საოფისე ფართის, ავტომობილისა და ინსტრუმენტების იჯარა) შეადგინა 10,820 ლარი.

კაპიტალური და მიმდინარე რემონტები

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთრებაში არსებულ შვეულმფრენებს, ძირითად აგრეგატებს და მათ მაკომპლექტორებს (რედუქტორები, ძრავები, დამხმარე ძალური დანადგარები, ტრანსმისია, ხრახნები და ა.შ.) ესაჭიროებათ როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე რემონტი.

კერძოდ შვეულმფრენებს (ფუზელაჟი), ძრავებს, რედუქტორებს და სხვა მაკომპლექტორებს გააჩნიათ საათობრივი და კალენდარული რესურსები, რომელთა მომსახურების ვადებს რემონტის შემდეგ ანიჭებს შესაბამისი ლიცენზირებული ქარხანა.

გამომდინარე იქედან რომ საქმიანობა არის მკაცრად რეგულირებადი, საჰაერო ხომალდების და მათი აგრეგატების დანიშნული საათობრივი ან კალენდარული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში,

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
მმართველობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე და საქართველოს საამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებული წესების, მწარმოებელი და სარემონტო ქარხნების რეგლამენტის გათვალისწინებით შესაძლებელია რემონტთაშორისი რესურსის გაგრძელება ან მათზე კაპიტალური რემონტის განხორციელება. სრული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში ხდება მათი ჩამოწერა, რაც ასევე მკაცრად რეგლამენტირებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტივების რემონტის ხარჯების გაწევა კომპანიისათვის მნიშვნელოვანი დანახარჯებია, რაც ყოველწლიურად სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის ძირითადი შემოსავალმა შეადგენდა 13,800,522 ლარი (2018: 11,163,928 ლარი). შემოსავლის 99% შეადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული შვეულმფრენების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს. დეტალები იხილეთ ავიაკომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში.

კომპანიის 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით :

(ქართული ლარი)

	2019	2018
შემოსავალი	13,800,522	11,163,928
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(8,045,127)	(7,810,609)
საერთო მოგება	5,755,396	3,353,319
სხვა შემოსავალი	90,928	66,250
სხვა ხარჯი	(846,392)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,611,800)	(1,994,110)
საოპერაციო მოგება	2,388,131	1,425,459
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(67,297)	(14,751)
მოგება დაბეგვრამდე	2,320,834	1,410,708
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,386)	(5,087)
წმინდა მოგება	2,319,448	1,405,621
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	2,319,448	1,405,621

(ქართული ლარი)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	15,426,578	16,223,473
სულ გრძელვადიანი აქტივები	15,426,578	16,223,473
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	656,711	446,959
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,421,714	1,181,211
გადახდილი ავანსები	330,855	346,255
წინანსწარ გადახდილი გადასახადები	145,892	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,997,861	1,679,410
სულ მიმდინარე აქტივები	6,553,032	3,653,835
სულ აქტივები	21,979,610	19,877,308

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
მმართველობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მიმდინარე ვალდებულებები		
გადასახდელი დივიდენდები	214,928	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,733,786	1,050,290
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,948,714	1,050,290
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	20,028,896	18,825,018
სულ კაპიტალი	20,030,896	18,827,018
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	21,979,610	19,877,308

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებელი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3.03	3.05
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3.36	3.48

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები მაჩვენებელი

	2019	2018
გაყიდვების რენტაბელობა	17%	13%

ამონაგები 2019 წელს გაზრდილია ავიაკომპანიის მენეჯმენტის მიერ მთავარ კონტრაქტორთა მოლაპარაკების შედეგად მომსახურებაზე გაზრდილი ტარიფებისა ასევე ანაზღაურებადი ფრენების მომატების გამო, რამაც თავისთავად იმოქმედა კომპანიის მოგების ზრდაზე რაზეც გავლენა ამჟამად იქონია 2019 წლის განმავლობაში გარკვეულწილი ხარჯების (დაზღვევა, ხელფასების კორექტირება და ა.შ.) შემცირებამ (ხარჯების შემცირება დაუწყო 2018 წლის მაისიდან).

2019 წლის ბოლოსათვის სს „ავიაკომპანია თუშეთის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 21,979,610 ლარი, (2017 წლის ბოლოს 19 877 308 ლარი). აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 2,102,302 ლარით, ძირითადად ფულის და ფულის ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდის შედეგად.

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის განმავლობაში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქტივების გამოსყიდვა.

კომპანიის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ავიაკომპანია ძირითადად ახორციელებდა ვიწრო სპეციფიურ საქმიანობას: ე.წ. „ცხელ წერტილებში“ გაეროს, ეუთოს, წითელი ჯვრის, ნატოს მისიების და სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობების სპეციალური პროგრამების (ხანძარსაწინააღმდეგო,

**შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
მმართველობის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ადგილობრივი არჩევნები) მხოლოდ სამოქალაქო ხასიათის საშველმფრენო მომსახურეობას. ამ საქმიანობის განხორციელებისას ძირითად დამკვეთებად გვევლინებიან საავიაციო ბროკერები, რომელთა რაოდენობაც შეზღუდულია საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და რამდენიმე ათეულს არ სცდება. კომპანია მისი სამუშაო ხანგრძლივობიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე ცნობილია ყველა ძირითადი ბროკერისთვის და პირიქით. ინფორმაცია ამ ხასიათის ბაზრის კონიქტიურის თაობაზე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავიაკომპანიისთვის ცნობილი ხდება უშუალოდ ბაზრის (ბროკერების) მონაწილეებისგან, რაც სრულიად გამორიცხავს ავიაკომპანიის მხრიდან ამ ტიპის ბაზრის კვლევისთვის კონსალტინგური ორგანიზაციების ჩართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავიაკომპანიისთვის ცნობილია ამ ტიპის ბაზრის სამომავლო შესაძლებლობები და მოთხოვნები:

2020-2021 წლების პერიოდისთვის კვლავ აქტუალური იქნება ავღანეთის ბაზარი და მზარდი მოთხოვნა, ასევე აფრიკის სახელმწიფოებში გაეროს World Food Program -ის ფარგლებში შვეულმფრენებით შერეული (სამგზავრო-სატვირთო) ტიპის მომსახურება. ამ პროგრამებში დასასაქმებლად კვლავ მოთხოვნილია რუსული ტიპის მი-8მტვ და მი-8ტ ტიპის შვეულმფრენები. მოსალოდნელია ფასების კლება კონკურენციის გამო. ავღანეთის ბაზარზე ძირითადად ქართული და ყაზახური რეესტრის საჰაერო ხომალდებია დასაქმებული (რუსული მიუღებელია გასაგები მიზეზების გამო, ხოლო უკრაინულ ბორტებს აკრძალული აქვთ ფრენების განხორციელება ამ რეგიონში უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით). აფრიკაში კვლავ ლიდერები იქნებიან რუსული ავიაკომპანიები, თუმცადა გაეროს ოფიციალურ კონტრაქტორების რიგებში იმატა უკრაინულიმ ავიაკომპანიებმა.

აქედან გამომდინარე შპს „ავიაკომპანია თუშეთისთვის“ კვლავ პრიორიტეტული იქნება ავღანეთის ბაზარზე (მი-8მტვ ტიპის შვეულმფრენებით) დარჩენა.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აღნიშნული ტიპის საქმიანობის განსახორციელება ავიაკომპანია თუშეთისთვის, და არამარტო მისთვის, შესაძლებელია პრობლემატური გახდეს შემდეგი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით:

საკითხი ეხება 2009 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას 2019 წლის 31 დეკემბრამდე EASA-ს მიერ არასერტიფიცირებული შვეულმფრენების, მსუბუქი და და ულტრამსუბუქი საჰაერო ხომალდების რეესტრიდან ამოღების თაობაზე: ავიაკომპანია თუშეთის მიერ ექსპლუატირებული სამივე მი-8 ტიპის რუსული წარმოების შვეულმფრენი EASA-ს მიერ მიერ არასერტიფიცირებული შვეულმფრენებს მიეკუთვნება, თუმცადა მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნიდად ითვლება. აღნიშნული საკითხის მოგვარების (გადავადება ან გაუქმება) მიზნით საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო სხვა უწყებებთან ერთად ინტენსიურად მუშაობს ევროკავშირთან: საბედნიეროდ, ანალოგები არსებობს - ბულგარეთს, ლიტვას ანალოგიური შეზღუდვები გადაუვადეს რამოდენიმე წლით და/ან შეუზღუდეს ფრენის არიალი (ევროპა).

ძირითადი რისკი მომდინარეობს უშაოლოდ საქმიანობის განხორციელების ქვეყნის (ავღანეთი) არასტაბილური მდგომარეობიდან გამომდინარე - სულ უფრო მეტი რეგიონი კარგავს ცენტრალური

**შპს „ავიაკომპანია თუშეთი“
მმართველობის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მთავრობის კონტროლს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ავღანეთის პროგრამის (ნატოს ჯარების სამოქალაქო საჰაერო მხარდაჭერა) ვადაზე ადრე დასრულებაზე.

სერიოზულ რისკ-ფაქტორი (მი-8 ტიპის შვეულმფრენების ორმაგი დანიშნულების (სამოქალაქო/სამხედრო) გამოყენების შესაძლებლობა, რაც მწარმოებელი ქვეყნის (რუსეთი) მხრიდან საქართველოსთვის სერვისების მიწოდებაში შეფერხების ფაქტებში გამოიხატება), რაც გასულ წლებშიც იდგა, შეიძლება ჩაითვალოს დადებითად გადაწყვეტილად: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ გააფორმა სათანადო მემორანდუმი უკრაინის შესაბამის უწყებასთან, რომლის პირობების თანახმად შესაძლებელი ხდება ამ ქვეყნის საავიაციო საწარმოების მეშვეობით საქართველოს რეესტრში არსებული მი-8 ტიპის შვეულმფრენებზე გარკვეული ტიპის სერვისების მიღება რესურსების გაგრძელების მხრივ.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით და რისკების შემცირების მიზნით ავიაკომპანია თუშეთის ხელმძღვანელობას სამომავლოდ აქვს განზრახვა კრედიტების საშუალებით ან ინვესტორის მოზიდვის მეშვეობით (ფინანსური ლიზინგი) განახორციელოს დასავლური წარმოების ერთი ერთეული საჰაერო ხომალდის შეძენა, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას აქვს ტექნიკური გამოცდილება ისეთი ტიპის შვეულმფრენის ექსპლუატაციისა როგორცაა EC-155B, Bo-105, Augusta - 109, თუმცა ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

“შპს ავიაკომპანია თუშეთის“ 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 29 მაისს:

დირექტორი

კონსტანტინე დავითიძე

